ოქმი:**ო02. 3725071001**

თარიღი:**12/03/2025**

# ოქმი № 3

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 11 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.00-14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, ალ. ღლონტი, ბ. ქათამაძე, დ. მდინარაძე, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო ან/და საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

4. ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის

წესრიგის N 1,2 საკითხები, კერძოდ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში; სოფლებში ნატანებსა და მელექედურში და ქ. ოზურგეთში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით,

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის N 3 საკითხი, აღნიშნა, რომ ეს არის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხა, საიდანაც ხდება სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა ქალაქ ბათუმში, ნუსხის დამტკიცება ხდება შემდგომში ამ ადგილების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მიზნით. აქაც კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით,

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის N 4 საკითხი, რომელიც ეხებოდა ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის მომწესრიგებელი ნიშნების განთავსებას, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით,

**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ოთხივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი